დამტკიცებულია:

შესულია ცვლილება 14.01.2023წ, ბრძ N 2.

სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება

(კონსოლიდირებული)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების განხორციელებას, უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობებს, გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

2. სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

მუხლი 2. სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიზანი და ფუნქციები

1. სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიზანია:

ა) უზრუნველყოს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების და მიმზიდველი საგანმანათლებლო პროგრამების შესათავაზებლად პარტნიორობის განვითარება ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე;

ბ)ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპების განხორციელებას;

გ) გაუზიაროს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილი ცოდნა.

2. სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა და კოორდინაცია;

ბ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებთან ურთიერთობა;

გ) ქართულ და უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობა, პროექტების მომზადება, წარდგენა და განხორციელება;

დ) უნივერსიტეტის პერსონალისთვის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა სამეცნიერო ფონდების მოძიების, საგრანტო პროექტების მომზადების, პატენტების შექმნისა და საავტორო უფლებების დაცვის მიზნით;

ე) სხვა ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებთან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და კოორდინაცია;

ვ) ყოველი აკადემიური წლის ბოლოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზის განხორციელება აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე;

ზ) საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტურის სტუდენტთა სტატიების საერთაშორისო რეცენზირების უზრუნველყოფა;

თ) უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვა;

ი) უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის განვითარების ხელშეწყობა;

კ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა-შეფასების პროცესების კოორდინაცია, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების განხორციელების ორგანიზაციულ მხარდაჭერა, კვლევის ფარგლებში აკადემიური პატიოსნების დაცვის კონტროლი;

ლ) კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამების ადმინისტრირება;

მ) უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა სემინარის, ტრენინგის, სასწავლო და სასერტიფიკატო კურსის ორგანიზება;

ნ) უცხოურ უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებისა და ცენტრების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა;

ო) უნივერსიტეტის კვლევითი ღონისძიებების წლიური, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შემუშავება;

პ) საუნივერსიტეტო კვლევით აქტივობების (კონფერენციები, სემინარები, ვორქშოპები და სხვ.) ორგანიზება;

ჟ) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე დასკვნების შემუშავება;

რ) საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების ადმინისტრირება;

ს) უნივერსიტეტის ფარგლებში აკადემიური პატიოსნების დაცვა და პლაგიატის აღმოფხვრის ღონისძიებების დანერგვა;

ტ) საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურთან ერთად ერთობლივი საგრანტო, სასტიპენდიო და კვლევითი პროექტების კოორდინირება უნივერსიტეტის სახელით;

უ) უცხოელი მკვლევარების უნივერსიტეტში მოწვევა;

ფ) უწყვეტი განათლების ცენტრის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით;

ქ) ფართო საზოგადოებისთვის უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზება;

ღ) უნივერსიტეტსა და მის გარეთ უწყვეტი განათლების პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების მოძიება და შესაბამისი ბაზების შექმნას - ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით;

ყ) სამეცნიერო და ინოვაციური კაპიტალის განვითარების უზრუნველსაყოფად აკადემიური პერსონალის, მკვლევარებისა და დოქტორანტების ჩართვა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსებსა და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში;

შ) კვლევის პრიორიტეტული დარგების იდენტიფიცირება და შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის დანერგვა;

ჩ) ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობა და მემორანდუმების გაფორმება;

ც) საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ინტეგრირების მიზნით სამეცნიერო ფორუმებში, საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში, აგრეთვე ერთობლივ საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში აფილირებული/აკადემიური/მოწვეული პერსონალის მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ძ) თანამშრომლობა საქართველოსა და უცხოეთის სამთავრობო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და მემორანდუმების გაფორმება;

წ) საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობა;

ჭ) საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების ფარგლებში სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ტრენინგებისა და ვორქშოფების ორგანიზება.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და მართვა

1. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: ცენტრის უფროსი და მთავარი სპეციალისტი.
2. ცენტრის უფროსს და მთავარ სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი.
4. ცენტრის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;

ბ) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

გ) ზედამხედველობს მთავარი სპეციალისტის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;

დ) ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს;

ე) ორგანიზებას უწევს წინამდებარე დებულებით ცენტრისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ვ) მონაწილობას იღებს უნივერსიტეტის სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავებაში;

ზ) საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში წვლილის შეტანის მიზნით ახორციელებს სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სხვა პროგრამებს;

თ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობას და ჩართვას შესაბამისი დარგის აქტუალური სამეცნიერო თემების განხილვაში, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევაში, სხვადასხვა ინსტიტუციისთვის კვლევების განხორციელებას და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი ღონისძიებების ჩატარებას;

ი) ამზადებს რეკომენდაციებს უნივერსიტეტის რექტორისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრების სავარაუდო განაწილების შესახებ;

კ)უნივერსიტეტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს და რექტორის ცალკეულ დავალებებს.

5.მთავარი სპეციალისტის ფუნქციები:

ა) დახმარებას უწევს უფროსს ცენტრის ამოცანებითა და ფუნქციებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში.

ბ) ხელს უწყობს უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვას;

გ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა-შეფასების პროცესების კოორდინაციაში მონაწილეობა;

დ) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე დასკვნების შემუშავებაში მონაწილეობა;

ე) საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების ადმინისტრირებაში მონაწილეობის მიღება;

ვ) უნივერსიტეტის ფარგლებში პლაგიატის აღმოფხვრის ღონისძიებების დანერგვაში მონაწილეობის მიღება;

ზ) უცხოელი მკვლევარების უნივერსიტეტში მოწვევის ორგანიზებაში მონაწილეობა;

თ) უწყვეტი განათლების ცენტრის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებაში მონაწილეობა;

ი) ფართო საზოგადოებისთვის უწყვეტი განათლების პროგრამების ადმინისტრირებაში მონაწილეობა;

კ) უნივერსიტეტსა და მის გარეთ უწყვეტი განათლების პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების შესაბამისი ბაზების შექმნა.

მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. დებულების მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების სამსახური შეიმუშავებს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სამსახურის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატებების პროექტით, რომელსაც ამტკიცებს აკადემიური საბჭო.